ერთადერთი ბურთი

მოსკოვის "პიშჩევიკისა" და თბილისის "დინამოს" განმეორებითს შეხვედრას სსრკ თასზე, რომელიც ჩატარდა 9 აგვისტოს ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე, კვლავ დიდძალი მაყურებელი დაესწრო.

ეს მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, ხასიათდებოდა კრიტიკული მომენტებითა და დაძაბული ბრძოლით. დინამოელებმა შეტევა დაიწყეს მარჯვენა ფრთიდან. ისინი პირველი 5 წუთის განმავლობაში თითქმის არ მოშორებიან "პიშჩევიკის" საჯარიმო მოედანს, მაგრამ მეკარე ნიკანოროვისა და კრუჩკოვის ვირტუოზული თამაშის შედეგად ვერ მიაღწიეს მიზანს – კარი გაურღვეველი დარჩა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს სტუმრების დამცველთა ხუთეულის ენერგიული და კომბინაციური თამაში, რაც გამოიხატებოდა მოწინააღმდეგის თავდამსხმელთა ხუთეულის თითოეული მოთამაშის ყრუდ ჩაკეტვაში, ურთიერთშორის ბურთის ზუსტ გადაცემაში და რაც მთავარია, მეკარესთან მჭიდრო კავშირში.

მიუხედავად არაერთი კრიტიკული მომენტისა, რომელიც იქმნებოდა მოწინააღმდეგეთა კარის მოედნებზე, თამაშის 45 წუთიან ბრძოლას შედეგი არ მოუცია.

პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ – 0:0.

შეჯიბრების მეორე ნახევარი აღინიშნა თბილისელთა აშკარა უპირატესობით. "დინამოს" თავდამსხმელები "დასახლდნენ" მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედანზე, რომელთა ძლიერი შუტების ასაღებად მეკარე ნიკანოროვს ხშირად უხდებოდა სხარტი ნახტომებით თავის "შეწუხება". მე-11 წუთამდე კარი კვლავ გაურღვეველი დარჩა.

მე-11 წუთზე პაიჭაძემ, რომელიც მეტწილად ჩაკეტილი იყო, ბურთი მოხერხებულად გადასცა გავაშელს, ამ უკანასკნელმა კი ბერეჟნოის, რომელმაც ძლიერი დარტყმით გაგზავნა ის კარის მარცხენა კუთხისაკენ. თითქოს უდაო გოლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ კვლავ მოიგერია მეკარემ, დაბრუნებულ ბურთს მიუსწრო ჯეჯელავამ და ძლიერი კუთხური გარტყმით შეარხია ბადე – 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ მთელი თამაშის განმავლობაში დინამოელებს, კერძოდ გავაშელს რამდენჯერმე ჰქონდათ ბურთის გატანის სრული შესაძლებლობა, იგი ვერ გამოიყენეს და ვერ გაზარდეს ანგარიში.

ამრიგად 4 ტაიმის 180–წუთიან ბრძოლაში თბილისის დინამოელებმა ძლივს შეძლეს ერთი ბურთის გატანა.

ვ. გ–ლია.
"ახალგაზრდა კომუნისტი", 10 აგვისტო, 1939 წ.